აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის
Аҧснытәи Автономиатәи Ареспублика Аихабыратәи Аҧцара

განკარგულება

#28 2015 წლის 3 სექტემბერი, ქ. თბილისი

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს მიერ
სახელმწიფო შესყიდვის გამარტივებული შესყიდვის საშუალებით განხორციელების
შესახებ

1. „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-10[1] მუხლის მე-3 პუნქტის „დ" ქვეპუნქტის შესაბამისად, სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი ღონისძიების შეზღუდულ ვადებში შეუფერხებლად ჩატარების მიზნით, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესმა საბჭომ (ე. გვაზავა), ბროშურების ,,აფხაზეთი/საქართველო: ისტორია, პოლიტიკა, კულტურა" გერმანიაში გერმანულ ენაზე, ხოლო საფრანგეთში ფრანგულ ენაზე გამოსაცემად, საჭირო მომსახურების შესყიდვა განახორციელოს გამარტივებული შესყიდვის საშუალებით ,,აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის 2015 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ" აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის კანონით აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოსათვის გამოყოფილ ასიგნებათა ფარგლებში.
2. განკარგულების შესრულებაზე კონტროლი უზრუნველყოს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის აპარატმა (ო. გარმელია).
3. განკარგულება ძალაშია ხელმოწერის დღიდან.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის
მთავრობის თავმჯდომარის
მოვალეობის შემსრულებელი ვახტანგ ყოლბაია

№1

10 09 2015 №15